საია აცხადებს კონკურსს ვებ-დეველოპერის მომსახურებაზე

საია იწვევს ინდივიდუალურად ვებ-დეველოპერებს ან/და ორგანიზაციებს ვებ-გვერდის/გვერდების დასამზადებლად.

პროექტის მოკლე აღწერა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: *„კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება“* ერთ-ერთი მიზანია მიგრაციის ეფექტური და ეფექტიანი მართვის ხელშესაწყობად, მართვის იაფი ელექტრონული მექანიზმების შემუშავება.

დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ მიმაგრებულ ფაილში.

დავალების მოკლე აღწერა

პროექტის ფარგლებში არჩეულმა ვებ-დეველოპერმა/კომპანიამ უნდა შექმნას შემდეგი ონლაინ პროდუქტი:

- ონლაინ სივრცე, სადაც გამოვლენილი იქნება არალეგალური მიგრაციის ძირითადი ნაკადები და რისკ ჯგუფები;

- ონლაინ სივრცე, სადაც მიგრანტებს ექნებათ საშუალება, მიიღონ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი უფლებების დასაცავად;

- ონლაინ საგანმანათლებლო მექამიზნი მიგრანტების უფლებების დაცვის თაობაზე.

აღნიშნული ფუნქციების შეთავსება შესაძლებელია როგორც ერთიან ონლაინ სივრცეში, ასევე ცალ-ცალკე, შეთანხმებისამებრ.

ექსპერტების/ორგანიზაციის პროფილი:

კონკურსში მონაწილე პირმა/ორგანიზაციამ უნდა წარმოაჩინონ მათი გამოცდილება და უნარ-ჩვევები და დაასაბუთონ, თუ რატომ შეძლებენ ყველაზე კარგად აღნიშნული დავალების შესრულებას.

კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმია:

- წარსულში მსგავსი ვებ-გვერდების შექმნის გამოცდილება;

- გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;

- შესაბამისი განათლება;

- ინოვაციური ხედვა.

ვადები

პროექტის სავარაუდო განრიგი შემდეგია:

1	კონკურსი ვებ დეველოპერზე	20-30 სექტემბერი
2	ვებ-დეველოპმენტი	30 სექტემბერი - 30 დეკემბერი
3	ტესტირება, ვებ-გვერდის დასრულება	30 დეკემბერი - 30 იანვარი
4	ვებ-გვერდის შესახებ ინფორმაციის გავრცელება	1 – 30 მარტი

ანაზღაურება

ანაზღაურება მთლიანი დავალებისათვის - დაახლოებით 6000 ევრო (დარიცხული), გამოცდილებისა და წინა ნამუშევრების მიხედვით.

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

- დეტალური რეზიუმე/პორტფოლიო;

- წინა ნამუშევრების ლინკები/ასლები;

- 2 რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია;

დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 30 სექტემბერი. განაცხადები მიიღება ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - macharashvili@gyla.ge

დეტალური ინფორმაციისთვის და ტექნიკური დავალების გასაცნობად ჩამოტვირთეთ **ფაილი**

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თეონა მაჭარაშვილს - 577 070594